

თინათინ ჯინიაკი

**-ნენ დაბოლოების გარეშე პრაქტიკული ვნებების
ზოგ ფორმები
(სახელოვანი ორთოგრაფიულ ლექსიკონთან დაკავშირებით)**

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის -ნენ დაბოლოება ნორმად არის მიჩნეული პრეფიქსიანი ვნებების ნამყოფი სრულის ფორმებში (თანამედროვე... 1970, 185-187). ამ წესის მიხედვით ვნებითის ისეთ ფორმებში, რომელთა საყრდენი ფუძე **ნ** თანხმოვანზე ბოლოვდება, **-ნენ** სუფიქსის დართვისას მოსალოდნელია **ნ** თანხმოვანთა თავმოყრა. ეს ფაქტი საყურადღებოა ორთოგრაფიულად, მაგრამ დღემდე არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

ერთნაირ თანხმოვანთა თავმოყრა ერთ მორფემაში ქართულისათვის ბუნებრივი არ არის. მაგრამ მორფემათა ზღვარზე ასეთი რამ აუცილებელიც კია. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ამგვარი მოვლენები სპეციალურად არის მინიშნებული ზმნებისა თუ სახელების ფორმებში (**გვარდები, გავს, მმორჩილებს... თბილისს, სკამმა, ქარქაშში, კოვზზე, საათთან, მათთვის, იაფფასიანი...**). არც **ნ** თანხმოვანთა თავმოყრაა გამორიცხული მორფემათა ზღვარზე. მაგალითად, სახელებშია **შენნი, ბრძენნი, ჩვენნი**... რა ვითარებაა ამ მხრივ ზმნის ფორმებში?

ძველ ქართულში ორი **ნ** იყრიდა თავს **ნ**ზე ძირდამთავრებულ ზმნურ ფორმებში სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითის **-ნ**- სუფიქსით აღნიშვნის გამო (ანუ გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმებში) და ასეთივე ძირის მქონე პრეფიქსიანი ვნებითების იმავე ფორმებში.

პირველი რიგის მაგალითებია:

- ნამყოფი სრულში: გან-კურნ-ნ-ა (მან იგინი)
 აღ-ა-შენ-ნ-ა
- II კავშირებითში: გან-კურნ-ნ-ეს (მან იგინი)
 აღ-ა-შენ-ნ-ეს
 გან-კურნ-ნ-ენ (მათ იგინი)
 აღ-ა-შენ-ნ-ენ

ამავე ძირის მქონე პრეფიქსიანი ვნებითების ფორმები იყო: ნამყოფი სრულში:

- გან-ი-კურნ-ნ-ეს (იგინი)
 აღ-ე-შენ-ნ-ეს
- II კავშირებითში: გან-ი-კურნ-ნ-ენ (იგინი)
 აღ-ე-შენ-ნ-ენ

ორივე შემთხვევაში ძირის მომდევნო **-ნ**- აფიქსი ითვლება მრავლობითო-

ბის **-ენ** სუფიქსისაგან მომდინარედ (**-ნ < -ენ**) (შანიძე, 1976, 111-112).

ამგვარად, რეალური იყო ზმნების ფორმებში ძირისეული და სუფიქსისეული **ნ** თანხმოვნების თავმოყრა (**ნნ**) ერთმანეთის გვერდით.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის პირველი რიგის შემთხვევებში **ნ** თანხმოვანთა თავმოყრა გამოირიცხულია (ობიექტის მრავლობითობის აღუნიშვნელობის გამო): გან-კურნ-ა მან იგი (იგინი). გამოირიცხა იგი პრეფიქსიანი ვნებითების II კავშირებითების ფორმებშიც (მათი სხვაგვარი წარმოების გამო). მაგრამ დარჩა **ნამყო სრულის** ფორმებისთვის, რომლებშიც ისტორიული **-ნ (<-ენ)** აფიქსს დაემატა სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსი (ძველი -ეს სუფიქსის ნაცვლად) (შანიძე, 1953, 180-182; 464-464). პრეფიქსიანი ვნებითებისათვის მესამე პირის მრავლობითში ნორმად გამოცხადდა **-ნენ** დაბოლოება. ამის გამო კი ჩვენთვის საინტერესო **ნ** საყრდენფუძიანი ზმნების ნამყო სრულის მესამე პირის მრავლობითში თეორიულად უნდა გვექონდეს **-ნ-ნენ** დაბოლოება (გან-ი-კურნ-ნენ, ა(ლ)-ე-შენ-ნენ, მო-ე-ვლინ-ნენ, გა-ი-გზავნ-ნენ და ა. შ.).

რაკი **-ნ-ნენ** დაბოლოება სალიტერატურო ქართულში **ნ** საყრდენფუძიანი ზმნებთან ნორმად უნდა მიგვეჩინა, ბუნებრივია, რომ ცალ **ნ** თანხმოვნიანი ფორმები განხილულიყო ვნებითების ფორმათა მართლწერის სხვა დარღვევების გვერდით (ღვინაძე, 1983, 90-112). მაგრამ იქვე გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ **ნ** თანხმოვანთა თავმოყრისას ერთ-ერთის ადვილად დაკარგვის გამო განიკლისის სახით დაშვებული ყოფილიყო ცალ **ნ** თანხმოვნიანი ფორმები. მაგალითებს შორის ერთმანეთის გვერდით იყო დასახელებული **ებდღვნენ, გაიგზავნენ, გამოედვენენ** ფორმებიცა და **გაიბანენ, დაეტანენ, მოეფინენ...** ფორმებიც. ვარაუდი ეფუძნებოდა ბეჭდურ პროდუქციაში ცალი **ნ** თანხმოვნიანი მაგალითების სიმრავლეს და **-ნ-ნენ** დაბოლოების იშვიათობას. ფორმები მაინც მრავლობითისაა **-ნენ** დაბოლოების გამო, მაგრამ ყურადღება არ მახვილდებოდა მის ისტორიაზე და ფონეტიკურ გარემოცვაზე.

ნ თანხმოვანზე დამთავრებული საყრდენფუძიანი პრეფიქსიანი ვნებითების ნამყო სრულის მესამე პირის მრავლობითში **-ნ-ნენ** დაბოლოების დამკვიდრების მხარდასაჭერად გამოითქვა მოსაზრება: „თუ ზმნას მესამე სუბიექტური პირის ნიშნის წინ **ნ** თანხმოვანი მოუდის, ე. ი. ზმნის ძირი **ნ** თანხმოვნით ბოლოვდება, მრავლობით რიცხვში თავს მოიყრის ორი **ნ**, რომელთაგან პირველი ზმნის ძირეულია, მეორე — სუბიექტის პირისა და მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსისეული: ის მას (მათ) შეეხმიანა — ისინი მას (მათ) შეეხმიანნენ; ის გაიწვრთნა — ისინი გაიწვრთნნენ; ის აიბურძენა — ისინი აიბურძენნენ...“ „წესი წესია და იგი ყველამ უნდა დავიცვათ“. იქვე ჩამოთვლილია **ი-** და **ე-** პრეფიქსიანი ზმნები **-ნ-ნენ** დაბოლოებით (შალამბერიძე, 1986, 1993). მაგალითებს შორის ერთმანეთის გვერდითაა გაიეთხაპნნენ და და-ე-მონ-ნენ ტიპის ფორმები.

წესის დაცვა, მართლაც, სავალდებულოა, მაგრამ გასათვალისწინებელია მისი დაცვის შესაძლებლობა სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ გარემოცვაში. ჩვენთვის საინტერესო საკითხი მორფონოლოგიურია. მხოლოდ მორფოლოგიის დონეზე მისი გადაწყვეტა შეუძლებელია.

ნ თანხმომავით საყრდენფუძიანი ზმნები ქართულში საკმაოდ ბევრია. ასეთები ზოგი ნასახელარია და ზოგი საკუთრივ ზმნური წარმომავლობისა. მაგრამ ამას ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. გადამწყვეტი უნდა იყოს ძირისეული **ნ** თანხმომავის წინამავალი ბგერის როგორობა — ხმოვანია იგი თუ თანხმომავანი? ასეთი **ნ**ს წინ ყველა ხმოვანი დასტურდება (**-ან, -ენ, -ინ, -ონ, -უნ**), ზოგჯერ კი — თანხმომავანი ან თანხმომავები.

საყრდენი ფუძის **ნ** თანხმომავის წინ ხმოვანის არსებობის პირობებში **ნნ** კომპლექსის შენარჩუნება ამგვარ ფორმებში ფონოლოგიურად შესაძლებელია (გა-ე-ქან-ნენ, ე-ჩვენ-ნენ, შე-ე-რკინ-ნენ, და-ე-მონ-ნენ, გა-ე-ხახუნ-ნენ და მისთ.), ნორმის მიხედვით მოსალოდნელი **-ნნენ** დაბოლოება კი სამართლიანია.

ამას ვერ ვიტყვით მეორეგვარ შემთხვევებზე. საყრდენი ფუძის **ნ**ს წინ თანხმომავის ან თანხმომავების არსებობის პირობებში **-ნნენ** დაბოლოების მექანიკურად მოთხოვნა გაართულებს მართლწერას და ხელოვნურს გახდის. ასეთი ფორმები ენაში რეალურად არც დასტურდება. პირიქით, ყველანაირ სიტუაციაში ფორმები ცალი **ნ** თანხმომავით უფრო გვხვდება (მოეფინენ, გაექანენ, დაებჯინენ... დაეხსნენ, დაითხაპნენ, გაიხიზნენ (შეეხიზნენ), დაედევნენ და სხვ.).

გამოითქვა მოსაზრება, რომ **-ნნენ** იწერებოდა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საყრდენი ფუძის **ნ** თანხმომავანს ხმოვანი უძღვის.

„დასახელებულ ზმნებთან ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში სხვადასხვაგვარი ფონეტიკური გარემოცვის გამო ყოველთვის ერთნაირად შესაძლებელი არ ჩანს **-ნენ** დაბოლოების წარმოდგენა. კერძოდ, როცა ზმნის ფუძის ბოლოკიდური **ნ** თანხმომავანი ხმოვანის მომდევნოა, მაშინ უფრო შესაძლებელი ჩანს **ნენ** დაბოლოების გამოყენება და, მაშასადამე, ფორმაში ორი **ნ** თანხმომავანის შენარჩუნება. მაგალითად: გაექან-ნენ, დაიჭყან-ნენ, მიესვენ-ნენ, შეეტენ-ნენ, მოევილ-ნენ, დაიკბინ-ნენ, გაიტვრინ-ნენ, მოეფინ-ნენ, გაიყინ-ნენ, დაეკონ-ნენ, აიწონ-ნენ და მისთ.

ხოლო, როცა ზმნის ფუძის ბოლოკიდური **ნ** თანხმომავანი მოსდევს ერთ ან მეტ თანხმომავანს, მაშინ პრაქტიკულად **-ნენ** დაბოლოების მაგივრად **-ენ** დაბოლოებას უნდა ველოდეთ. მაგალითად: გაი/ემიჯნ-ენ, დაინიშნ-ენ, გაისაპნ-ენ, გაიხიზნ-ენ, ებდღვნ-ენ, დაითითხნ-ენ, გაიწვრთნ-ენ, მიეტმასნ-ენ და მისთანა შემთხვევებში“ (ღვინაძე, 1993, 84-91). ივარაუდება, რომ ეს **-ენ** ფონეტიკური პროცესის შედეგია თანხმომავანთა თავმოყრის გამო: — თანხმომავის ან თანხმომავების მომდევნო ძირისეული **ნ+ნენ → ნ--(ნ)ენ → ნ-ენ**.

აშკარაა, რომ ჩვენთვის საინტერესო ფორმები ორთოგრაფიულია და მათი მართლწერის გადაწყვეტის შემდეგ ისინი უნდა შევიდეს ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

„ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ 1968 წლის გამოცემაში არც ერთი ამგვარი ორთოგრაფია არ იყო შეტანილი იმ მარტივი მიზეზითაც, რომ ზმნური ერთეულები (უფრო კი დრო-კილოთა მათი ფორმები) ძალზე ხელმომჭინედ იყო წარმოდგენილი. ბუნებრივია, რომ მრავლობითის ფორმები საერთოდ არ იყო ნაჩვენები.

ბოლო, 1998 წლის ვრცელი გამოცემა სხვა ღირსებების გარდა მნიშვნელოვანია სალექსიკონო ზმნური ერთეულების სიმდიდრითაც, ზმნებთან კი

დრო-კილოთა ძირითადი ფორმების ჩვენებით. ოღონდ ნამყო სრულის ფორმები აქაც, ჩვეულებრივად, მხოლოდობითის ფორმითაა წარმოდგენილი. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზოგი პრეფიქსიანი ვნებიტის ნამყო სრულის ფორმასთან მხოლოდობითის გვერდით ფრჩხილებში ნაჩვენებია მრავლობითის ფორმაც ორთოგრაფიის გამო.

მართალია, სულ რამდენიმე შემთხვევაა ასეთი, მაგრამ ძალზე საყურადღებოა საკითხის გადასაწყვეტად — დადასტურებულია **-ნენ** დაბოლოება (ე. ი. **ნ** თანხმოვანთა თავმოყრის რეალურობა) ზმნის ძირისეული **ნ** თანხმოვნის წინ ხმოვნის არსებობის პირობებში. ეს ორთოგრაფებია:

მოეფინენ, მიეფინენ, გადაეფინენ

დაეპატრონენ

წაეპოტინენ

შეერკინენ

ეს ფორმები მიწერილია თავ-თავის ადგილას მხოლოდობითის ფორმებთან ფრჩხილებში.

ამათ გარდა მრავლობითის ფორმები სხვა საყურადღებო ერთეულებს არა აქვს მიწერილი და, ბუნებრივია, არც მათი დაწერილობაა ბოლომდე გარკვეული, მაგრამ ეს რამდენიმეც გამოდგება საკითხის გადასაწყვეტად.

პრეფიქსიანი ვნებიტების ნამყო სრულის მრავლობითის ფორმების ასე ძუნწად წარმოდგენა შეიძლება იმის შედეგიც იყოს (პრინციპის გარდა), რომ ისინი სხვადასხვა მიზეზით საერთოდაც ნაკლებად იხმარება. მაგ.: პასიური სემანტიკის ფორმები მრავლობითში ან საერთოდ არ იხმარება (დაი/ეფშენა, გაი/ეთოხნა და მისთ.) ან უფრო ხშირად აღწერილობითი ფორმებითაა წარმოდგენილი (მოხსნილ იქნენ, დანიშნულ იქნენ და მისთ.). **-ნენ** დაბოლოებიანი ფორმები წერილობით ენაში იშვიათად დასტურდება; მაშინაც ისეთ ტექსტებში, რომელთა ავტორები ფორმათა მართლწერაზე სპეციალურად ფიქრობენ. მაგ.: **ჩამოეფინენ** ლანდები (რ. ინან.); **ამოეფინენ** ჩვენი სოფლელები (ნ. გელ.); მებრძოლები **მიეტანენ** (თ. წოწ.) და სხვ. ამათთანაც **-ნ** გვხვდება მხოლოდ ხმოვანთა გარემოცვაში. ძირითადად კი ხმოვანთა თუ თანხმოვანთა გარემოცვაში გვხვდება ცალ **ნ** თანხმოვიანი ფორმებით: ადამიანები **მეჩვენენ**, ბავშვები **დაიჩქდანენ**, სამსახურიდან **მოიხსნენ**, ერთმანეთს **გაეცნენ**, **მოეფინენ**, **გაექანენ**, **დაინიშნენ** და სხვ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მის თითქმის ყველა ფუნქციურ სტილში, შენიშნულია საერთოდ ვნებიტის ფორმათა და მათ შორის პრეფიქსიანი ვნებიტების მოძალებული გამოყენება მათი მდიდარი სემანტიკური შესაძლებლობების გამო. ასეთ ვითარებაში დროზე მისახედია **ნ** საყდენფუძიანი პრეფიქსიანი ვნებიტების მართლწერა ნამყო სრულის მრავლობით რიცხვში. გადასაწყვეტია: როდის არის შესაძლებელი ფორმაში **-ნენ** და როდის უნდა იყოს **-ნენ**?

მართლწერის მყარ საფუძვლად გამოდგება ორთოგრაფიული ლექსიკონის ბოლო გამოცემაში შეტანილი ფორმები: **მოეფინენ**, **დაეპატრონენ**, **წაეპოტინენ**, **შეერკინენ**. ამათ მიხედვით **-ნენ** დაბოლოება უნდა მოვითხოვოთ მრავლობითის ფორმაში ნებისმიერი ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: **-ან-ნენ**,

-ენ-ნენ, -ინ-ნენ, -ონ-ნენ, -უნ-ნენ (გა-ე-ქან-ნენ, ე-ჩვენ-ნენ, მო-ე-ვლინ-ნენ, და-ე-მონ-ნენ, ე-წუწუნ-ნენ და მისთ.), რასაკვირველია, სემანტიკის გათვალისწინებით.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის ახალ, მით უმეტეს სასკოლო, გამოცემაში უნდა იყოს ამგვარი აგებულების აქტიური სემანტიკის მქონე ფორმებთან ფრჩხილებში მრავლობითის ფორმებიც. ასეთები კი იმდენია შეტანილი, რომ ახალი ერთეულების დამატება აღარ გახდება საჭირო. შეტანილი ზმნების ნამყო სრულის მხოლოდობითის ფორმებთან საკმარისი იქნება მრავლობითის მიწერა ფრჩხილებში. მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო ერთეულები ასეა წარმოდგენილი:

ებუზღუნება; ებუზღუნებოდა; ებუზღუნებოდეს; ებუზღუნა

ედუდუნება; ედუდუნებოდა; ედუდუნებოდეს; ედუდუნა

ეთაყვანება; ეთაყვანებოდა; ეთაყვანებოდეს; ეთაყვანა

ეტიტინება; ეტიტინებოდა; ეტიტინებოდეს; ეტიტინა

მრავლობითის ფორმა ორთოგრაფიულად და ნამყო სრულის მხოლოდობითის ფორმასთან მისი მითითება აუცილებელია. ამიტომ თავთავის ადგილას უნდა დაემატოს: **ებუზღუნენ, ედუდუნენ, ეთაყვანენ, ეტიტინენ.**

მრავლობითის ჩვენთვის საინტერესო ფორმები, სასურველია, იყოს ძირითადად ზმნისწინებიან ფორმებთან, ვინაიდან ზმნისწინიან ფორმებში უკეთ ჩანს სემანტიკა და მრავლობითის ფორმის მოხმარების საჭიროება, თუმცა მართლწერის პრინციპი არ შეიცვლება. ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში ნამყო სრულის ფორმები უზმნისწინოდ უფრო ბუნებრივია და ამიტომ იქვე შეიძლება მიეთითოს მრავლობითის ფორმები.

ებჯინება ფორმასთან არის მხოლოდ **ებჯინებოდა, და-** ზმნისწინიანი **დაებჯინა**, რომელსაც უნდა მიეწეროს მრავლობითის ფორმა: **დაებჯინენ** ან იქ, სადაც არის: **დაებჯინება**, დაებჯინა, დაჰბჯინა.

არის **დაეპატრონენ**, შეიძლება მიეთითოს **მი-** ზმნისწინიანი ფორმაც **მიეპატრონენ** (სემანტიკური სხვაობის გამო).

არის უზმნისწინოდ: **ეჩვენება;** ეჩვენებოდა; ეჩვენებოდეს, მაგრამ აღარ არის ზმნისწინიანი **მოეჩვენება**, მოეჩვენებოდა; მოეჩვენებოდეს; მოეჩვენა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მრავლობითის მიწერაც: **მოეჩვენენ**. თუმცა უზმნისწინოდ შეტანილი **ეჩვენა** ფორმასთანაც შეიძლებოდა მრავლობითის ფორმა **ეჩვენენ** (ექიმს).

არის უზმნისწინოდ: **ემონება;** ემონებოდა; ემონებოდეს; ემონა და **და-** ზმნისწინით: **დაემონება;** დაემონა; დამონებია. აქაც **დაემონა** ფორმასთან შეიძლება იყოს **დაემონენ** ორთოგრაფიულად.

არის: **იყინება**, იყინებოდა; იყინებოდეს (გაიყინება) და ზმნისწინიანი: **გაიყინება;** გაყინულა.

რატომღაც არაა **გაყინა** ფორმა, რომელსაც უნდა ჰქონდეს მიწერილი **გაყინენ**.

ამავე ძირიდან არის **ეყინება;** ეყინებოდა; ეყინებოდეს უზმნისწინოდ და **გა-** ზმნისწინიანი **გაეყინა**

გაეყინება; გაეყინებოდა; გაეყინებოდეს

ნამყო სრულის **გაეყინა** ფორმასთან უნდა იყოს მრავლობითის შესაძლებელი ფორმაც **გაეყინენ** (ხელები გაეყინა, ბავშვები გაეყინენ, თუმცა პარალელურად ბავშვები გაეყინა'ც იხმარება). ამიტომ მხოლოდ ფონეტიკური გარემოცვის გამო შეიძლება კატეგორიულად არ მოვითხოვოთ ამგვარი ფორმები: გაეყინენ, დაენანენ, დაეშენენ და სემანტიკურად სხვა მათი მსგავსნი. მაგალითად, **დაეშენენ** ფონეტიკური გარემოცვის მიუხედავად თითქოს შეუძლებელი ფორმაა სემანტიკურად, მაგრამ შესაძლებელია **გადაეშენენ**. როცა სემანტიკურად ფორმა ნათელია, ტენდენცია **-ნ-ნენ** დაბოლოების დამკვიდრებისკენაა. ეს ტენდენცია აშკარაა **ი-ჟ-** პრეფიქსიანი ვნებითების აქტიური სემანტიკის ზმნებში, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილია საყრდენი ფუძის ბოლო მარცვლის მიხედვით.

-ან-ნენ	გან-ი/ე-ბან-ა —	გან-ი/ე-ბან-ნენ
	ე-თაყვან-ა —	ე-თაყვან-ნენ
	და-/მი-ე-ტან-ა —	და-/მი-ე-ტან-ნენ
	გა-/და-/გადა-ე-ქან-ა —	გა-/და-/გადა-ე-ქან-ნენ
	და-ი/ე-ჭყან-ა —	და-ი/ე-ჭყან-ნენ
	შე-ე-ხმიან-ა —	შე-ე-ხმიან-ნენ
	და-ი/ე-ჯღან-ა —	და-ი/ე-ჯღან-ნენ
-ენ-ნენ:	მი-ე-სვენ-ა —	მი-ე-სვენ-ნენ
	მო-ე-ჩვენ-ა —	მო-ე-ჩვენ-ნენ
	შე-ე-ტენ-ა —	შე-ე-ტენ-ნენ
-ინ-ნენ:	და-ე-ბჟინ-ა —	და-ე-ბჟინ-ნენ
	მი-/მო-ი/ე-ვლინ-ა —	მი-/მო-ი/ე-ვლინ-ნენ
	გა-ი/ე-ყინ-ა —	გა-ი/ე-ყინ-ნენ

ასეთები მრავლად დასტურდება ხმაბაძვითი სიტყვებისგან:

	ე-ტიტინ-ა —	ე-ტიტინ-ნენ
	ე-ტლიკინ-ა —	ე-ტლიკინ-ნენ
	მი-ე-ფოფინ-ა —	მი-ე-ფოფინ-ნენ
	ე-ყოყლოჩინ-ა —	ე-ყოყლოჩინ-ნენ
	ე-ჩიჩინ-ა —	ე-ჩიჩინ-ნენ
	ე-ჩლიფინ-ა —	ე-ჩლიფინ-ნენ
	ე-ჯიჯინ-ა —	ე-ჯიჯინ-ნენ და სხვ.

ასეთი **-ინ-ნენ** დაბოლოებიანია ორთოგრაფიულ ლექსიკონში უკვე შეტანილი **წაეპატინენ, შეერკინენ, მიმო-გადა-ე-ფინენ** ფორმები*.

-ონ-ენ:	და-ე-პატრონ-ა —	და-ე-პატრონ-ნენ (შეტანილია)
	და-ე-კონ-ა —	და-ე-კონ-ნენ
	და-ე-მონ-ა —	და-ე-მონ-ნენ
-უნ-ნენ:	ასეთი არც ერთი არაა შეტანილი.	
	ე-ბუზლუნ-ა —	ე-ბუზლუნ-ნენ
	წა-ე-ბლლადუნ-ა —	წა-ე-ბლლადუნ-ნენ

* **-ინ-ნენ** დაბოლოების საკითხი დადგება კაუზატიურ ეკვლევიზება, ელანძვინება, ეჩავკრინება, ეწყევლინება ტიპის ზმნებთანაც: და-ე-ხოცვინ-ნენ, გა-ე-ლანძვინ-ნენ, და-ე-ჩავკრინ-ნენ, და-ე-წყევლინ-ნენ...

ე-დუდუნ-ა	—	ე-დუდუნ-ნენ
და-ი-თრგუნა	—	და-ი-თრგუნ-ნენ
ე-რწმუნ-ა	—	ე-რწმუნ-ნენ
გა-ი-ტრუნ-ა	—	გა-ი-ტრუნ-ნენ
და-/მო-ი-დუნ-ა	—	და-/მო-ი-დუნ-ნენ
ე-წუწუნ-ა	—	ე-წუწუნ-ნენ
გა-ე-ხახუნ-ა	—	გა-ე-ხახუნ-ნენ და სხვ.

ასეთი მრავლობითის ფორმების ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანით მოეწევა **-ნ-ნენ** დაბოლოებიანი ორთოგრაფიების მართლწერას. მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი, თუ არ გადაწყდა: როგორ დაიწეროს პრეფიქსიანი ვნებითების ასეთივე ფორმები იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ძირისეულ **ნ** თანხმოვანს ხმოვანი კი არა თანხმოვანი ან თანხმოვნები უძღვის. ასეთი ორთოგრაფიები არ ჩანს საერთო პრინციპის გამო (მრავლობითის ფორმები არაა შეტანილი).

სადავო არ უნდა გახდეს მოსაზრება: „როცა ზმნის ფუძის ბოლოკიდური **ნ** თანხმოვანი მოსდევს ერთ ან მეტ თანხმოვანს, მაშინ პრაქტიკულად **-ნენ** დაბოლოების მაგივრად **-ენ** დაბოლოებას უნდა ველოდეთ“ (ღვინაძე, 1993, 84-91). ეს **-ენ** კი დარჩენილია **-ნენ** სუფიქსისაგან, ფორმაში მის წინამავალ თანხმოვანთა თავმოყრის გამო სუფიქსის თავკიდური **ნ** თანხმოვნის დაკარგვის შემდეგ (შანიძე, 1953, 180-181).

ნ-(ნ)ენ → **-ნ-ენ**, ე. ი. ცალთანხმოვიანი დაბოლოება უნდა იყოს ნორმა ასეთ შემთხვევებში ისევე, როგორც არის:

1. **ქმნ** და **ქნ** ძირებიდან ნაწარმოებ პრეფიქსიანი ვნებითების მრავლობითის ფორმებში: ი-/ე-ქმნ-ენ, ი-/ე-ქნ-ენ
2. **ეცნობა** ზმნის მრავლობითში: გა-ე-ცნ-ენ
3. **დნ** და **ჰკნ** ძირებიდან ნაწარმოებ უნიშნო ვნებითის ფორმებში **-ნენ** დაბოლოების მაგივრად: **და-დნ-ენ, და-ჰკნ-ენ**.

ცალ **ნ** თანხმოვიანი ასეთი ფორმები საეჭვო რომ არ გახდეს მართლწერისას, ლექსიკონში საჭიროა მათი მრავლობითის ფორმების ჩვენებაც მხოლოდობითის გვერდით. მაგალითები:

- ე-ბდღვნ-ა — ე-ბდღვნ-ენ
- და-ი-ბნ-ა — და-ი-ბნ-ენ
- ა-ი-ბურძგნ-ა — ა-ი-ბურძგნ-ენ
- გა-/მი-/შე-ე-გზავნ-ა — გა-/მი-/შე-ე-გზავნ-ენ
- ა(ლ)-ი/ე-გზნ-ო — ა(ლ)ი/ე-გზნ-ენ
- ა-/და-ე-დევნ-ა — ა-/და-ე-დევნ-ენ
- და-ი-ვარცხნ-ა — და-ი-ვარცხნ-ენ
- მი-ი-ზლან-ა — მი-ი-ზლან-ენ
- და-ი-თითხნ-ა — და-ი-თითხნ-ენ
- გა-/და-ი/ე-თხუპნ-ა — გა-/და-ი/ე-თხუპნ-ენ
- და-ი-კლაკნ-ა — და-ი-კლაკნ-ენ
- გან-ი-კურნ-ა — გან-ი-კურნ-ენ
- და-ი-ნიშნ-ა — და-ი-ნიშნ-ენ
- გა-ი/ე-რყვნ-ა — გა-ი/ე-რყვნ-ენ

- გა-ი-საპნ-ა — გა-ი-საპნ-ენ
- მი-ე-ტმასნ-ა — მი-ე-ტმასნ-ენ
- ჩა-ი-ფუთნ-ა — ჩა-ი-ფუთნ-ენ
- და-ე-ფუძნ-ა — და-ე-ფუძნ-ენ
- მო-ი-ფურტკნ-ა — მო-ი-ფურტკნ-ენ
- გა-ი-ფურჩქნ-ა — გა-ი-ფურჩქნ-ენ
- გა-ი-ქნ-ა — გა-ი-ქნ-ენ
- შე-ი-შმუშნ-ა — შე-ი-შმუშნ-ენ
- შე-ი-ჭმუხნ-ა — შე-ი-ჭმუხნ-ენ
- გა-ი-წვრთნ-ა — გა-ი-წვრთნ-ენ
- გა-წმე-ი/ე-ხიზნ-ა — გა-წმე-ი/ე-ხიზნ-ენ

და სხვა მისთ.

პრეფიქსიანი ვნებითების მრავლობითის ასეთი ფორმები **-ნენ** სუფიქსის შესახებ მიღებული ნორმის დარღვევად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ ფონეტიკური მოვლენის შედეგად მის გამარტივებად წინამავალ თანხმოვანთა მეზობლობაში.

ასეთი ზმნებისთვისაც ნამყო სრულის მხოლოდობითის ზმნისწინიან ფორმებთან უნდა მიეწეროს მრავლობითის ფორმები. მაგალითად, **ეფურჩქნება, ეფუძნება** ზმნებისთვის მრავლობითი იქ იქნება წარმოდგენილი, სადაც არის ზმნისწინიანი ფორმები: **გაეფურჩქნა** (გაეფურჩქნენ)

დაეფუძნა (დაეფუძნენ)

და ა. შ.

ამ წესით პასუხი გაეცემა დასმულ კითხვასაც: რა ვითარებაა ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნის ფორმებში **ნნ** თანხმოვანთა თავმოყრის გამო?

პასუხი ასეთი იქნება: თეორიულად **ნნ** კომპლექსი ქართული ზმნის ფორმებშიც შესაძლებელია მორფემათა ზღვარზე, მაგრამ სალიტერატურო ქართულში იგი შენარჩუნებულია ხმოვნებს შორის, თანხმოვნების მომდევნოდ კი ერთ-ერთი (კერძოდ, სუფიქსისეული) **ნ** იკრავება.

ორივენაირი შემთხვევების სათანადო ფორმებით ორთოგრაფიულ ლექსიკონში ასახვა ხელს შეუწყობს **-ნენ** დაბოლოების კანონიერების დამკვიდრებასაც და ნათელს გახდის ფორმათა ანალიზსაც.

ლიტერატურა

თანამედროვე... 1970 — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი, 1970.

ღვინაძე, 1983 — თ. ღვინაძე, დარღვევები ვნებითი გვარის ფორმათა მართლწერისა და გამოყენებისას თანამედროვე ქართულში, ქსკს, V, თბილისი, 1983.

ღვინაძე, 1993 — თ. ღვინაძე, ვნებითის ზოგი ფორმის მართლწერისათვის, ქსკს, X, თბილისი, 1993.

შალამბერიძე 1986 — გ. შალამბერიძე, ორი ნ ზმნებში, გაზ. „ნორჩი

ლენინელი“, 7.IX. თბილისი, 1986.

შალამბერიძე 1993 — გ. შალამბერიძე, „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საკითხები“, თბილისი, 1993.

შანიძე 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.

შანიძე 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953.

TINATIN GVINADZE

**On *-nen* Ending in Some Passive Forms With Prefix
(with regard to School Orthographic Dictionary)**

S u m m a r y

The paper discusses an orthographic question - a root ending or a following ending of a consonant in the plural forms of III person of Aorist of the passive voice verbs with *i-/e-* prefix, in particular, if *-n-nen* or *-n-en* must be at the end in this case.

It is an orthographic complexity: must or not double *n* be written in such forms? e.g.: **mo-i/e-pin-nen**, **ga-i/e-qin-nen?** or **mo-i/en-pin-en**, **g-i/e-qin-en?** or **ga-i/e-miṣn-nen** **ga-i/e-miṣn-en?**

Conclusion is made:

1. writing of double *n* must be justified in such verbs which root *n* consonant is preceded by any vowel: **e-taqvan-nen**, **mi-e-sven-nen**, **mo-i/e-pin-nen**, **da-e-mon-nen**, **e-buṣyun-nen** and others.

2. double *n* must not be in such forms which root *n* consonant is preceded by a consonant (or consonants): **da-i-bn-en**, **ga-i/e-miṣn-en** and others.